პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2026 წლის ----- ივლისი

ქალაქი ბათუმი

„Bloomberg Philanthropies-ის „ახალგაზრდული კლიმატური სამოქმედო ფონდის“ პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა Bloomberg Philanthropies-ის გლობალური პროგრამის - **Youth Climate Action Fund** - ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მოპოვებული გრანტის - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით მიღებასა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„Bloomberg Philanthropies-ის „ახალგაზრდული კლიმატური სამოქმედო ფონდის“ პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი შერჩეულ იქნა Bloomberg Philanthropies-ის გლობალური პროგრამის - **Youth Climate Action Fund** - ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქების მხარდაჭერას ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებაში ადგილობრივი კლიმატური გამოწვევების საპასუხოდ. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი მიიღებს **50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის** ოდენობის საგრანტო დაფინანსებას.

გრანტის მიზანია ბათუმში ახალგაზრდების მიერ ინიცირებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პროექტების მხარდაჭერა მცირე გრანტების მეშვეობით. კერძოდ, **15-24 წლის ახალგაზრდებს** მიეცემათ შესაძლებლობა, შეიმუშაონ და განახორციელონ ქალაქის კლიმატურ პრიორიტეტებთან, საჭიროებებთან და ადგილობრივ გამოწვევებთან შესაბამისი ინიციატივები.

პროგრამა ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შერბილების/ადაპტაციის მიმართულებით ახალგაზრდული პროექტების ღია კონკურსის წესით შერჩევას, დაფინანსებასა და განხორციელების მხარდაჭერას. პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს მიეცემა შესაძლებლობა, მიიღოს დამატებითი საგრანტო დაფინანსება **50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის** ოდენობით, ამ მიმართულებით ახალგაზრდული ინიციატივების შემდგომი გაფართოების მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის ძირითადი არსია წინამდებარე განკარგულების პროექტის ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ Bloomberg Philanthropies-ის - **„ახალგაზრდული კლიმატური სამოქმედო ფონდი“** - ფარგლებში მოპოვებული **50 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტის** მიღებაზე თანხმობის გაცემა.

გრანტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, კლიმატის ცვლილების შერბილების/ადაპტაციის მიმართულებით, ახალგაზრდების მიერ შემუშავებული სამოქმედო ინიციატივების მხარდაჭერას მცირე გრანტების მექანიზმით, პროგრამით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადებით გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საგრანტო თანხების შემოსავლის სახით, პროექტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ ითვალისწინებს დამატებით ხარჯს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"; საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და
მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის
სამსახურის ეკონომიკური განვითარების
განყოფილების უფროსი **ნინო ბეჟანიძე**